საქართველო

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულო

2100 ზუგდიდი, რუსთაველის ქუჩა N90

MUNICIPAL COUNCIL

OF ZUGDIDI

№90 RUSTAVELI ST. ZUGDIDI GEORGIA

ქ. ზუგდიდი 6 მარტი 2017 წ.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება N16

**ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის მოსამსახურეთა 2017 წლის სასწავლო გეგმის დამტკიცების შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ და ,,ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა უწყვეტი სწავლების სისტემის, მასში ჩართული უწყებების უფლებამოსილებებისა და ამ სისტემის ფუნქციონირების პრინციპებისა და წესის დამტკიცების თობაზე“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 7 ივლისის №319 დადგენილების შესაბამისად:

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. დამტკიცდეს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის მოსამსახურეთა 2017 წლის სასწავლო გეგმა დანართი N1–ის შესაბამისად, (დანართი თან ერთვის);
2. მიღებული განკარგულების შესახებ ეცნობოს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობას;
3. განკარგულება ამოქმედდეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 54-ე მუხლის 1 ნაწილის შესაბამისად გაცნობისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს ,,ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 180-ე მუხლის 1 ნაწილის და ,,ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის“ 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამოისად, გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში, (მის. ქ. ზუგდიდი რ. ლაღიძის ქ. N12).

მაიზერ ნანავა

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

დანართი N1

## ზუგდიდის მუნიციპალიტეტის 2017 წლის სასწავლო გეგმა

| N | სწავლების სფერო | მოხელეთა რაოდენობა | სწავლების ფორმა | სწავლების პერიოდი/ კვარტალი | შესასწავლი საკითხები აღნიშნულ სწავლების სფეროში | დაფინანსება ბიუჯეტიდან (ლარი) |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | სამართლებრივი რეგულირება | 1 | გრძელვადიანი ტრენინგი | 3კვარტალი | ადმინისტრაციული კოდექსი, საჯარო სამსახურის შესახებ კანონი, თვითმმართველობის კოდექსი, | 2400 |
| 2 | სამართლებრივი რეგულირება | 8 | მოკლევადიანი ტრენინგი | 2 კვარტალი | ადმინისტრაციული კოდექსი, საჯარო სამსახურის შესახებ კანონი, თვითმმართველობის კოდექსი, პერსონალური მონაცემების დაცვა | 6160 |
| 3 | სამართლებრივი რეგულირება | 6 | მოკლევადიანი ტრენინგი | 3 კვარტალი | ადმინისტრაციული კოდექსი, საჯარო სამსახურის შესახებ კანონი, თვითმმართველობის კოდექსი, პერსონალური მონაცემების დაცვა | 4620 |
| 4 | მშენებლობის ნებართვის გაცემა და მშენებლობაზე ზედამხედველობის განხორციელება | 2 | მოკლევადიანი ტრენინგი | 4 კვარტალი | მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ სამართლებრივი საკითხების შესწავლა | 1540 |
| 5 | ადამიანური რესურსების მართვა | 1 | გრძელვადიანი ტრენინგი | 4 კვარტალი | შეფასების კრიტერიუმები, სამუშაოთა აღწერილობები. | 2400 |
| 6 | ადამიანური რესურსების მართვა | 3 | მოკლევადიანი ტრენინგი | მე-2 კვარტალი | შეფასების კრიტერიუმები, სამუშაოთა აღწერილობები. | 2310 |
| 7 | მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების მართვა | 5 | მოკლევადიანი ტრენინგი | მე-2 კვარტალი | სადამფუძნებლო დოკუმენტაციის შედგენა და მართვა | 3850 |
| 8 | მუნიციპალიტეტის სივრცით ტერიტორიული დაგეგმვა | 2 | გრძელვადიანი ტრენინგი | მე-2 კვარტალი | სივრცით ტეროტორიული დოკუმენტაციის შედგენა | 1540 |
| 9 | შიდა აუდიტი | 4 | მოკლევადიანი ტრენინგი | მე-2 კვარტალი | შიდა აუდიტი | 3080 |
| 10 | შიდა აუდიტი | 3 | მოკლევადიანი ტრენინგი | მე-3 კვარტალი | შიდა აუდიტი | 2310 |
| 11 | საზოგადოებასთან ურთიერთობა | 2 | მოკლევადიანი ტრენინგი | მე-2 კვარტალი | საზოგადოებასთან ურთიერთობა | 1540 |
| 12 | ახალგაზრდობის განვითრების ხელშეწყობა | 2 | მოკლევადიანი ტრენინგი | მე-2 კვარტალი | ახალგაზრდობის განვითარების ხელშეწყობის პროგრამების შესწავლა | 1540 |
| 13 | მუნიციპალიტეტის ქონების | 3 | მოკლევადიანი | მე-2 | ქონების აღრიცხვა, მართვა და | 2310 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | მართვა და განკარგვა | | ტრენინგი | კვარტალი | განკარგვა | |
| 14 | ტურიზმის განვითრების ხელშეწყობა | 1 | მოკლევადიანი ტრენინგი | მე-2 კვარტალი | ტურიზმის განვითარებასთან დაკავშირებული საკითხების შესწავლა | 770 |
| 15 | სახელმწიფო შესყიდვები | 1 | გრძელვადიანი ტრენინგი | მე-4 კვარტალი | ტენდერების გამოცხადება, გამარტივებული შესყიდვები, შესყიდვების დოკუმენტაციის შედგენა | 2400 |
| 16 | სახელმწიფო შესყიდვები | 1 | მოკლევადიანი ტრენინგი | მე-4 კვარტალი | ტენდერების გამოცხადება, გამარტივებული შესყიდვები, სატენდერო დოკუმენტაციის შედგენა | 770 |
| 17 | მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითრების დაგეგმვა | 1 | მოკლევადიანი ტრენინგი | მე-4 კვარტალი | მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითრების პრიორიტეტები | 770 |

გ.ნანავა

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარე